

შალვა გაბესკირია

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
s.gabeskiria@freeuni.edu.ge

ქართველთა თვითსახელწოდება „ქართველის“ ეტიმოლოგიის შესახებ

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა თვითსახელწოდების ეტიმოლოგიას არა ერთი სტატია აქვს მიძღვნილი, ამ ტერმინის ეტიმოლოგია ბოლომდე არ არის დადგენილი და შესაბამისად საკითხის გარშემო ერთი შეჯერებული აზრი არ არსებობს. თუ განვიხილავთ ეთნონიმ „ქართველის“ შესწავლის ისტორიას, ვნახავთ, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მეცნიერთა მიერ „ქართველი“ განიშარტება ქართველურ ენათა მასალის მიხედვით.

წინამდებარე სტატიაში ამ ტერმინის ეტიმოლოგიური ანალიზის მცდელობაა წარმოდგენილი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ძირითადი მოსაზრება არის ის, რომ „ქართველის“ ზანური ეკვივალენტი არის მეგრული „ქორთუ“. ამგვარად ქართული -ელ ზოგიერთ სიტყვაში აღნიშნავს წარმომავლობას, ხოლო მისი ზანური შესატყვისი არის მეგრულ სიტყვათა ერთ ჯგუფში დადასტურებული -უ.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ „ქართველი“ ნაწარმოებია ძველ ქართულ ეთნოტოპონიმ „ქართუდან“, რომლის მნიშვნელობაა ქართველი და ქართველთა ქვეყანა + -ელ - ძველი ქართული ხმოვანი უ გადადის თანხმოვან გ-ში.

ამგვარად, ძველი ქართული „ქართუს“ ზანური ეკვივალენტი არის მეგრული „ქორთუ“. გარდა ამისა, ქსენოფონტეს „ანაბაზიში“ დადასტურებულია ტერმინი „ქართუხი“. არქაული სუფიქსი დადასტურებულია ქართულ ეთნონიმებშიც - მესხი, კოლხი, ტაოხი, ჯავახი. ქართულ ეთნონიმთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ქართული „ქართუხი“.

საკვანძო სიტყვები: ქართველი, ქორთუ, ეტიმოლოგია, ქართუხი, შესატყვისობა.

ეთნონიმ „ქართველის“ ეტიმოლოგიის მცდელობები ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. დ. მუსხელიშვილის აზრით, „ქართველთა თვითსახელწოდება „ქართველის“ (მხ. რ.) ეტიმოლოგია და „ქართველნი“ (მრ. რ.) საბოლოოდ არ არის გარკვეული“ (მუსხელიშვილი 1993, 377).

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, „ქართველის“ ზანური ეკვივალენტი არის მეგრული „ქორთუ“ (ქართველი).

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წარმომავლობის აღმნიშვნელი ქართული დეტერმინანტ -ელ-ის, ზანური შესატყვისი არის მეგრულ სიტყვათა ერთი ჯგუფის აუსლაუტში დადასტურებული -უ, მაგ. ქართული ბელ-ელ-ი: მეგრული ბალ-უ, ქართული თხმ-ელ-ა, რომლის არქაულ ფორმად არის მიჩნეული თხმ-ელ (Климов 1964, 99): მეგრული თხომ-უ, ქართული ულ-ელ-ი: მეგრული ულ-უ.

გ. კლიმოვის აზრით, რომელიც ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში რამდენიმე სიტყვასთან, რომელთა შორის არის ეთნონიმი „ქართველიც“, შენიშნავს, რომ ბგერათ-

შესატყვისობა ქართული -ელ და მეგრული -უ არ არის დამაჯერებელი. ჩვენც ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, ვინაიდან აღნიშნული ბგერათშესატყვისობების მაგალითები არის საზოგადო სახელები, „ქართველი“ კი საკუთარი სახელია, ეთნონიმი, ეთნონიმებში კი ჩვენ გვაქვს შესიტყვება ქართული -ელ: ზანური -არ, მაგალითად *ოდიშელი: ოდიშარი*. განსხვავებაა თვით სახელწოდება „ქართველის“ წარმომავლობის აღმნიშვნელ სუფიქს -ელ-სა და საზოგადო სახელების დეტერმინანტ -ელ-ს შორისაც.

ჩვენი აზრით, ქართული -ელ: ზანური -უ არის არა ფონეტიკური ბგერათშესატყვისობა, არამედ ფუნქციური ეკვივალენტურობა.

ზემოხსენებული ეთნონიმების ამოსავალი არის „ქართ“, რომელიც დ. მუსხელიშვილის აზრით, მწიგნობრული გზით არის შექმნილი სულ უკანასკნელ ხანს (მუსხელიშვილი 1993, 338). ჩვენ ვერ დავეთანხმებით მეცნიერის ამ მოსაზრებას, პირველ რიგში ქართველურ ენათა მასალის მიხედვით, ზანური ენის მეგრულ დიალექტში და სვანურ ენაში „ქართ-ი“ საქართველოს დედაქალაქის თბილისის (უფრო ადრე მცხეთის) სახელწოდებაა. ეს ქორონიმი მეგრულიდან შევიდა აფხაზურ ენაშიც.

რაც შეეხება ეთნონიმ „ქართველის“ ეტიმოლოგიას, მის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არის გამოთქმული:

ნ. მარი - *ქსდ > ქართ + არქაული ივერიულის მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ივ, ქართ-ივ > ქართ-ივ-ელ-ი > ქართველი*.

ივ. ჯავახიშვილი - ტერმინის პირველი ნაწილი არის ქვეყნის სახელი „ქართუ“.

გრ. ლაფანციანი - *ქართ + ველ (< ბერ)*. მეცნიერის აზრით ბერ აქ ნიშნავს სახლს, შემდეგ გვარს, ტომს და საბოლოოდ ადამიანს, „ქართის“ სახლიდან.

ლ. მელიქსედ-ბეგი - „ქართველი“ არის ორი ეთნონიმისგან შედგენილი კომპოზიტი *ქართ-ივერი*.

ა. შანიძე - „ქართველი“ ირანულ ეთნონიმ *პართიდან* მომდინარეობს, რომლის სომხური ფორმა არის *პართევი*. *პართ-ავ-ელ-ი > პართ-ვ-ელ-ი > ქართველი* (შანიძე 1980, 8-12).

გ. მელიქიშვილი - თანხმობს *ვ-ს* პოვნეირება „ქართველში“ კეთილხმოვანობით აიხსნება (მელიქიშვილი 1965, 238).

თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი ფიქრობენ, რომ მეგრული „ქორთუ“ „ქართველიდან“ მომდინარეობს: *ქართველ > ქორთუალ > ქორთუაუ > ქორთუოუ > ქორთუ* (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 92).

ქართველების თვითსახელწოდების ეტიმოლოგიისათვის ძალიან მნიშვნელოვანია წინა აზიის ძველი ენების, განსაკუთრებით ხათური და ხეთური ენების მასალა.

ენათმეცნიერული, ისტორიული და სხვა სამეცნიერო დისციპლინების მონაცემთა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში მცირე აზიაში მცხოვრები, პროტოხეთებად ცნობილი ხათები ქართველთა წინაპრები არიან. ხეთების იმპერიის დედაქალაქის ხათური სახელწოდება არის „ხათუსი“, რომელიც „ხათუს“ („ქართუ“) უკავშირდება. ტოპონიმ „ხათუსის“ თანხმობანი არის ქართული ენის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

რაც შეეხება ლინგვონიმ „ხათთილის“ (ხათური ენა), აქ მორფემა -ელ არის ქართული -ელ. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში ებრაული ენა არის *ებრაელი ენა*.

„ქართველი“ მოხსენიებულია ბიბლიაშიც ქერეთის ფორმით - I მეფეთა 30, 14. ძველი ებრაული ენისთვის დამახასიათებელია *ე* ხმოვანი, ისევე, როგორც ერთმარცვლიანის ორმარცვლიანად გარდაქმნა: *არდ > ერეც* (ქვეყანა). ეთნონიმები *მესხი > მეშხ, სპერ > თობელ*.

ჩვენი აზრით, უფრო მართებულია ადრე გამოთქმული შეხედულება იმის შესახებ, რომ „ქართველი“ ნაწარმოებია ძველ ქართულ ეთნოტოპონიმ „ქართუდან“, რომლის მნიშვნელობაც არის „ქართველი“ და „ქართველთა ქვეყანა“. „ქართუს“ წინარე ფორმა უნდა იყოს ქსენოფონტეს „ანაბაზიში“ დადასტურებული ეთნიკური სახელწოდება „ქართუხი“, რომელიც ბოლოკიდური თანხმობის ჩამოცილებით მოგვცემდა „ქართუს“, შდრ. *ტაოხი > ტაო*. აქედან გამომდინარე, „ქართუდან“ ზანური „ქორთუ“ *ა-ს* გადაწევით, კანონზომიერად მიიღებოდა,

ხოლო ამავე სიტყვა - ფორმა „ქართუდან“ წარმომავლობის სუფიქსის დართვით ჯერ „ქართუელი“, შემდგომ კი ახალი ქართული „ქართველი“. ძველი ქართული ხმოვნის *უ-ს* თანხმოვანში გადასვლა სხვა სიტყვებშიც შეინიშნება, მაგ. *ღუინო > ღვინო, ძუელი > ძველი, ჩუენი > ჩვენი* და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გამყრელიძე, თ., გ. მაჭავარიანი, 1965. *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*. თბილისი: „მეცნიერება“.
- მელიქიშვილი, გ. 1965. *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი: „მეცნიერება“.
- მუსხელიშვილი, დ. 1993. „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის.“ *საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინები*, 337-377. თბილისი: „მეცნიერება“.
- შანიძე, ა. 1980. „ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი.“ *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, ტ. 23: 7-18.
- Gabeskiria, Sh. 2005. “On the Etymology of Hatti and Hattusa.” *Acts of the 5th International Congress of Hittitology*: 345-357.
- Климов, Г. А. 1964. *Этимологический словарь картвельских языков*. Москва: Изд-во Академии наук СССР.